2019 წლის
ანგარიშიდან:

საგზაო ნიშნების და უსაფრთხოება

საკასო შესრულებამ 177,06 ათასი ლარი შეადიგინა, რაც გეგმით გათვალისწინებული 178,4 ათასი ლარის 99,4%-ია. აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში ა(ა)იპ ,,ქუთგანათების სერვისმა“ შუქნიშნების ელექტრო ენერგიის მომსახურებისთვის გახარჯა 9,56 ათასი ლარი. ასევე ექსპლუატაციაში შევიდა - 3 ახალი შუქნიშანი. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 8 შუქნიშანს, მათგან ახლით შეიცვალა ერთი.

გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია

საკასო შესრულებამ 3057,83 ათასი ლარი შეადიგინა, რაც გეგმით გათვალისწინებული 3068,6 ათასი ლარის 99,65%-ია. 2019 წელს განხორციელდა 3600 ცალი ახალი ლედ ტიპის სანათების დაყენება/ჩანაცვლება. აღნიშნული სამუშაოების ღრებულება მოიცავდა 627,0 ლარს, ამ თანხას ემატება ის მომსახურების თანხა, რომელიც ხელფასის სახით არის გაცემული ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისი“-ს თანამშრომლებზე. ქალაქის გარე განათების ელ ენერგიის მოხმარებისთვის გახარჯულია - 1907,36 ათასი ლარი. ხელფასის სახით გაცემულია - 446,6 ათასი ლარი. დანარჩენი 76,87 ათასი ლარი არის ადმინისტრაციული ხარჯი, კომუნალური ხარჯები, მცირეფასიანი ინვენტარისა და ტექნიკის ხარჯი და მცირეფასიანი სამეორუნეო ხარჯები.

კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში

საკასო შესრულებამ 166,41 ათასი ლარი შეადიგინა, რაც გეგმით გათვალისწინებული 166,5 ათასი ლარის 99,95%-ია. აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში ა(ა)იპ ,,ქუთგანათების სერვისმა“ შეიძინა სამი ერთეული სატრანსპორტო საშვალება. აქედან ერთი ერთეული ამწე კალათი, რომლის შესაძენადაც გადაირიცხა 70,0 ათასი ლარი, ერთი ერთეული სატვირთო ავტომობილი ღირებულებით - 20,44 ათასი ლარი და ერთი ერთეული მსუბუქი გადამზიდი - 31,33 ათას ლარად. დანარჩენი 44,64 ათასი ლარი გაიხარჯა ოფისისთვის საჭირო აუცილებელი ინვნტარისა და ტექნიკის შესაძენად.